




რეგისტრაცია და პირველი შესვლა MEIN GOETHE.DE-ზე

1. თავდაპირველად შედით ვებგვერდზე www.goethe.de დააწექით MeinGoethe.de-ს და ჩამოშლილ მენიუში დააწკაპეთ “log in”-ს.



თუ პირველად შედიხართ MeinGoethe.de-ზე, ჯერ რეგისტრაცია უნდა გაიაროთ. ამისათვის დააწექით რეგისტრაციის ღილაკს (ინგლ.: Register).

სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ ასევე უყუროთ ვიდეორგოლს, რომელშიც ნაბიჯ-ნაბიჯ გაეცნობით რეგისტრაციის პროცესს.

2. შეიყვანეთ თქვენი ელფოსტა, თქვენ მიერ არჩეული პაროლი და თქვენი წარმოშობის ქვეყანა ან რეგიონი.

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ მოხმარებისათვის აუცილებელ პირობებსა და კონფიდენციალურობასთან დაკავშირებულ შინაგანაწესს.

← მონაცემების შეყვანის დასრულებისთანავე, დააჭირეთ რეგისტრაციის ღილაკს (ინგლ.: Register).


www.goethe.de



- რეგისტრაციის პროცესის წარმატებით დასასრულებლად, გახსენით თქვენი ელფოსტა, რომელშიც დაგხვდებათ მეილი გამომგზავნისგან „noReply-kdf2¹“, ხოლო თემის ველში (ინგლ.: subject) მითითებული იქნება „My Goethe.de/activate access“.



- დააწკაპეთ მეილში მოცემულ ბმულზე² ეკრანზე გამოჩნდება თქვენთვის უკვე ნაცნობი ფანჯარა. შეიყვანეთ მასში თქვენი ელფოსტა და პაროლი, რომელიც მიუთითეთ რეგისტრაციისას. შემდეგ დააწექით “Log in“-ს.



¹ ელფოსტის მიღება წარმოადგენს დასტურს იმისა, რომ რეგისტრაციის პროცესი რეალურად განხორციელდა თქვენ მიერ მითითებული ელფოსტით.

² გაფრთხილება:


თუ თქვენ ელფოსტაზე არ შემოსულა მეილი გამომგზავნისგან noReply-kdf2@goethe.de, ამას შესაძლოა ჰქონდეს შემდეგი მიზეზები:

თქვენი ელფოსტა აღიქვამს აღნიშნულ გამომგზავნს და მასში მოცემულ კონტენტს როგორც მისთვის უცხოს. მსგავსი მახასიათებლების მქონდე მეილები ხშირად პირდაპირ მიემართება ე.წ. „სპამში“. გთხოვთ, შეამოწმოთ „სპამი“ ან უცნობი საქაღალდეები, რომლებსაც შესაძლოა თქვენთვის უჩვეულო სახელი ჰქონდეთ. შესაძლოა ჩვენმა მეილმა სწორედ იქ მოიყარა თავი.


თუ ეს ასე არ არის, შესაძლოა თქვენ დაუშვით შეცდომა რეგისტრაციის დროს თქვენი ელფოსტის მითითებისას. გაიმეორეთ რეგისტრაციის ნაბიჯები Mein Goethe.de-ზე. თუ ელფოსტის შეყვანისას თქვენ მიიღებთ შეტყობინებას, რომ აღნიშნული ელფოსტა უკვე რეგისტრირებულია, მაშინ ხარვეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ. ამ შემთხვევაში დაუკავშირდით ენის კურსების ბიუროს.



5. სისტემა ავტომატურად გადაყვანთ თქვენი ანგარიშის გვერდზე.



6.1. თავდაპირველად დააწეეთ „My profile“-ს.



შეიყვანეთ თქვენი პირადი მონაცემები. აუცილებლად შესაყვანი ინფორმაციაა: თქვენი სახელი და გვარი, დაბადების თარიღი და ქვეყანა. დანარჩენი ინფორმაცია სავალდებულო ხასიათის არაა. არ დაგავიწყდეთ, შეინახოთ შეყვანილი ინფორმაცია. ამისათვის დააწკაპეთ ლილაკზე „save“.

www.goethe.de

**GOETHE
INSTITUT**

Sprache. Kultur. Deutschland.



6.2. მარცხენა მხარეს არსებულ ჩამონათვალში დააწკაპეთ „Account Settings and Privacy“-ს.

ACCOUNT SETTINGS & PRIVACY

Signup data

Email: gtpleser1@gmail.com Password: *****

Infos via email

I wish to receive information on new offers from the Goethe-Institut via email.

Preferred language

Preferred language * English

CANCEL SAVE

Data privacy declaration

Our [Conditions of use](#) and the [Privacy policy](#) are applicable.

Export my account data

აქ შეგიძლიათ შეცვალოთ სისტემაში შესასვლელი მონაცემები (თქვენი ელფოსტა და პაროლი) და ასევე აარჩიოთ თქვენთვის სასურველი ენა.

6.3. იმისათვის რომ სასურველი კურსი ან გამოცდა დაემატოს თქვენ პირად გვერდს, მარცხენა ზედა მხარეს მოცემულ ჩამონათვალში, დააწკაპეთ გამოცდებს ან კურსებს (ინგლ.: Exams/Courses). შეიყვანეთ მომხმარებლის ნომერი ან რეგისტრაციის კოდი მოცემულ ცარიელ ველში.

Add an exam

To view your exams, please enter your client number or registration code. You will find your customer number in letters and invoices from the Goethe-Institut. You will find your registration code in an e-mail we sent you.

Customer number or registration code:

SAVE

After entering your registration information, you will see your exams on the [learning platform](#).
Test PRO Spielwiese Klein Location: Goethe-Test PRO Zentrale

[TO THE TEST PLATFORM >>](#)

www.goethe.de

**GOETHE
INSTITUT**

Sprache. Kultur. Deutschland.



6. Mein Goethe.de-დან გასასვლელად დააწკაპეთ თქვენს სახელს და შემდეგ "Log out"-ს.

